რეკომენდაცია მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოთხოვნები მიმწოდებლების მიმართ საჭიროა განსაზღვროს ყოველი ცალკეული შესყიდვის შემთხვევაში ინდივიდუალურად, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობის, მიწოდების ვადის და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული, ვინაიდან არასაკმარისად განსაზღვრული მოთხოვნები ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს, ხოლო გადაჭარბებულად წაყენებული მოთხოვნები უსაფუძვლოდ აფერხებს პოტენციურ მიმწოდებლებს, ზღუდავს კონკურენციას და ზრდის შესყიდვის ობიექტის ფასს.

წინამდებარე მეთოდური მითითების მიზანია, შემსყიდველ ორგანიზაციებს მისცეს რჩევები მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მწარმოებლის ავტორიზაცია წარმოადგენს კონკრეტული მწარმოებლის მხრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირისთვის სატენდერო წინადადების შემუშავების, წარდგენისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების განხორციელების (მაგ. საგარანტიო ვალდებულებების შესრულების) უფლების მინიჭებას. ყოველი მწარმოებელი ინდივიდუალურად განსაზღვრავს საჭირო პროცედურებსა და მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა დააკმაყოფილოს ავტორიზაციის მიღების მსურველმა პირმა, კონკრეტული მწარმოებლის მხრიდან ავტორიზაციის მოსაპოვებლად. როგორც წესი, მწარმოებლების მხრიდან ხორციელდება ავტორიზაციის მსურველი პირის სანდოობის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის, რეალიზაციის შემდგომი მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სხვა ფაქტორების შეფასება. ხშირ შემთხვევებში, ავტორიზაციის მინიჭება ხორციელდება განსაზღვრული ვადით, ხოლო ავტორიზაცია დასტურდება მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომელიც, როგორც წესი, გაიცემა სპეციალური ფორმის[1], ეგრეთწოდებულ MAF-ის სახით (Manufacturer's Authorization Form).

სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები:

მოთხოვნის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მწარმოებლის მიერ ავტორიზებული პირი, როგორც წესი, სისტემატურად ახორციელებს მწარმოებლის პროდუქციის რეალიზაციას, ფლობს რეალიზაციის შემდგომი მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და კვალიფიკაციას.

მოთხოვნის უარყოფით მხარეს განეკუთვნება ის, რომ მწარმოებლის ავტორიზაციით სარგებლობენ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველთა შედარებით ვიწრო წრე და ავტორიზაციის მიღება უკავშირდება გარკვეულ დანახარჯებს, მათ შორის დროით რესურსს.

[1] მაგალითისთვის იხილეთ: https://webgate.ec.europa.eu/europeaid/online-services/index.cfm?ADSSChck=1387587341384&do=publi.getDoc&documentId=136815&pubID=134857

შესაბამისად, მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნა, როგორც წესი, ამცირებს პოტენციური მიმწოდებლების წრეს და კონკურენციის დონეს ტენდერებში, რაც შესაბამისად აისახება შესყიდვის ობიექტის ფასის ზრდაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიმართავს შემსყიდველ ორგანიზაციებს შემდეგი რეკომენდაციებით:

- ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და მოსთხოვოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს მწარმოებლის ავტორიზაცია გააზრებულად, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზის, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის შეუფერხებლად ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის საჭირო რეალიზაციის შემდგომი საჭიროებების თავისებურებების გათვალისწინებით;
- გარკვეულ შემთხვევებში მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნა არ არის რეკომენდირებული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხორციელდება სტანდარტული, შედარებით დაბალფასიანი და მარტივად ჩანაცვლებადი ობიექტების შესყიდვა, შესაძლებელია, რომ მწარმოებლის ავტორიზაციის მოთხოვნამ, შემსყიდველ ორგანიზაციაზე დამატებითი სარგებლის მინიჭების გარეშე, მნიშვნელოვნად შეაფერხოს კონკურენცია და გაზარდოს ერთეულის ფასი;
- მწარმოებლის მხრიდან ავტორიზაციის მოთხოვნა გამართლებულია ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს რეალიზაციის შემდგომი სპეციფიკური მომსახურებები (მაგ. შესაბამისი ტრენინგები; სპეციფიკურ ტექნიკასთან დაკავშირებული ტექნიკური მხარდაჭერა და საგარანტიო ვალდებულებების შესრულება), რაც საჭიროა წარიმართოს შედარებით იშვიათი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ჩართულობით.